ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 24 (19466) ◆ ოთხშაბათი, 29 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ნათელი პროგრამა, წინსვლის ორიენტირი

ექვსმეტე ხუთწლედის „პირველი თვეა... და თითქოს სიმბოლურიც არის, რომ სწორედ ახალი წლის დასაწყისში, სწორედ ახალი ხუთწლედის გარიჟრაჟზე მიიღეს საქართველოს კომუნისტებმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა მოქმედების, შრომის, შენების დიდი სახელმძღვანელო. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა, კიდევ უფრო მთელი ძალით გამოაჩინა პარტიისა და ხალხის მიზნების, საფიქრალისა და მოქმედების ერთიანობა, დასახა რესპუბლიკის საერთო წინსვლისა და აღმავლობის ნათელი პროგრამა.

რესპუბლიკის კომუნისტთა ეს უმაღლესი ფორუმი გაიმართა კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში, როცა ყოველი დღე, ყოველი საათი სულ უფრო გვაახლოვებს სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღესთან, როცა საბჭოთა ადამიანები უდიდესი დაინტერესებითა და პასუხისმგებლობით განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, შემოთავაზებული ცვლილებებითურთ პარტიის წესდების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს.

შეიძლება პირდაპირ ითქვას: საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა ის სიმაღლე, ის გადასასვლელი, რომლიდანაც ხელისგულივით გაშოჩნდა მთელ საანგარიშო პერიოდში, მთელი ხუთი წლის მანძილზე დიდი შრომით და რუდუნებით შექმნილ-მიღწეული, აშასთან ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ნათელ ფონზე უსიამოვნო ჩრდილებივით მოჩანს.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და აღიქვეს მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და სკკპ პროგრამის ახლი რედაქციის, პარტიის წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტების გამო, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა. მასში მეტად ღრმად, მეცნიერულად არის გაანალიზებული რესპუბლიკის შემოქმედებით აღსავსე ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, გაანიზღვრულია წინსვლის, საქმის გაუმჯობესების პრაქტიკული გზები. ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტის გამო, მოისმინა და დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის, აგრეთვე სამსდატო კომისიის მოხსენება, რომელშიც მეტად შთამბეჭდავად წარმოჩნდა ყრილობის დელეგატის განზოგადებული პორტრეტი.

მაშ ასე; ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილებები, არჩეულია ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები.

ახლა თავიდათავი საფიქრალ-საზრუნავი ის არის, რომ საქართველოს თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა, ქალაქისა თუ სოფლის ყველა მშრომელმა ყრილობის გადაწყვეტილებები იპოოონ კონკრეტული საქმე და ამოცანა, იღვაწონ მთელი გულით, მონდომებით, შემოქმედებითად, რათა საქართველოს კომპარტიის ყრილობის მიერ დასახული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, მისი საერთო წინსვლის პროგრამა აუცილებლად შესრულდეს.

ამბობენ, დრო ქარგაა, რომელზეც ჩვენი პრაქტიკული საქმეები იქსოვება. მართლაც, რით იყო აღსანიშნავი საქართველოს კომუნისტებისათვის მთელი ხუთწლიანი საანგარიშო პერიოდი? რა დადებითი გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ, ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის რა მეთოდები მოვიმარჯვოთ, ან რა უკუვაგდოთ ამ ახალ ხუთწლედში? ყველა კითხვაზე ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი გასცა ყრილობის დელეგატთა კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა, მეტად პრინციპულმა და საინტერესო ბჭობამ.

როგორც ყრილობაზე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი გარდატეხის წლები იყო. ამ გარდატეხას კი დასაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილმა დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბებული მუშაობის სტილის, მეთოდების გაუმჯობესება და გამდიდრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების ცვლილებათა პროექტების მოთხოვნის მიხედვით — აი როგორ უნდა გვესმოდეს ყოველივე კარგი მონაპოვრის შემკვიდრეობითობა.

მრავალი მაგალითი, კონკრეტული შედეგი თვალნათლივ მოწმობს, რომ გასულ ხუთწლეულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროსა და სამდივნოს, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში იყო წარმოების ეფექტიანობის ზრდის, დაგეგმვისა და მართვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური სარჯვის, პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე მთელი რიგი სხვა აქტუალური საკითხები. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები გამუდმებით ეძებენ წარმოების დამატებითს რეზერვებსა და საშუალებებს. ფართო გზა მიეცა ეკონომიკურ ექსპერიმენტებს, ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. გასული ხუთწლედი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის თავისებური გამოცდელი იყო. აბაშელთა მაგალითით აგროსამრეწველო გაერთიანებები შეიქმნა რესპუბლიკის ყველა რაიონში. ახლა კი რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი თავის პირველ ნაბიჯებს დგამს.

სწორედ ამ მუდმივმა ყურადღებამ განსაზღვრა, რომ გასულ ხუთწლედში წარმატებით გადაწყდა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები. აი შთამბეჭდავი ციფრებიც: ვადამდე, გასული წლის 18 დეკემბრისათვის შესრულდა სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ხუთწლიანი დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიარდ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. ვადამდე განხორციელდა ბევრი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი. გათვალისწინებულზე უფრო ადრე არის ათვისებული სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. ყრილობაზე მოიტანეს ერთი საყურადღებო ფაქტიც — 1972 წელთან შედარებით საქართველოს საერთო-ეკონომიკურმა პოტენციალმა ერთიორად და მეტად იმატა.

ერთი სიტყვით, დადებითი მაგალითების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება, როგორც ეკონომიკისა და კულტურის ამა თუ იმ უბანზე, ასევე პარტიულ-ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში. მთელ ქვეყანაში იწონებენ და სწავლობენ თბილისის, ფოთის, სხვა ქალაქებისა და რაიონების ექსპერიმენტებს, ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტთა ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ზრდისათვის დამკვიდრებულ სინტერესო ფორმებს, სხვადასხვა გამოცდილებასა და თაოსნობებს. მაგრამ, როგორც ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, მიღწეულს ვერავინ ნაგვართმევს, ნაკლზე, გაუკეთებელზე კი საჭიროა მეტი პრინციპულობით ითქვას, არაფერი დაგვრჩეს დაფარული და შენიღბული.

სწორედ ასეთია ჭეშმარიტი პარტიელის პოზიცია, სწორედ ასეთი იყო ყრილობის მთელი სულისკვეთება.

მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, უკმარისობის გრძნობა იმიტომაც გვჭირდება, რომ წინ, ამ მეთორმეტე ხუთწლედში და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მეტად პასუხსაგები, რთული, მასშტაბური ამოცანები დგას. ამის დასტურად ყრილობაზე კონკრეტული ციფრები რომ დასახელეს, აგრეთვე ითქვა: მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა გულისხმობს გრძელვადიანი, ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავების უფრო მაღალ დონეს, დაგეგმაში საპროგრამო-მიზნობრივი მეთოდის ფართოდ გამოყენებას. საჭიროა უფრო ღრმად ვეწვდებოდეთ წარმოების ზრდის ტემპის ფაქტორებს.

არადა, გაწეული მუშაობის ანალიზი ნათლად მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრგან ვერ ითვალისწინებენ სწორედ ამ ფაქტორებს, არ ეძებენ საქმის გაუმჯობესების რეზერვებსა და საშუალებებს. ამიტომ არის, რომ ზოგან კვლავ ერთ ადგილს ტკეპნინან, ერიდებიან თავის ზედმეტ შეწუხებას, ან ვერ იყურებიან წინ, ვერ ჭვრეტენ მომავალს. მაგალითად, ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიც მანქანათმშენებლობაა, თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს წარმოების დონე, პროდუქციის ხარისხი და საერთოდ, მთელი მუშაობის ხარისხი. აქ საწარმოო სიმძლავრეები სრულად ვერ არის დატვირთული.

სერიოზული ძვრების მიუხედავად ძნელი ვითარებაა მშენებლობაში, სადაც ძალიან ზანტად, პირდაპირ შეუწყნარებლად ეკიდებიან ძირითადი ფონდების ამოქმედებას. კვლავ უხარისხოდ აშენებენ საცხოვრებელ სახლებს, ხოლო ზოგან მშენებლობას ძალიან აჭიანურებენ.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრი ჩამორჩენილი ქარხანა და ფაბრიკა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა, ზოგი მათგანი დიდი ზარალით მუშაობს. ვითარება მოითხოვს, როგორც აქ, ისე მთელ რიგ უბნებსა და რგოლებში განსაკუთრებით განვამტკიცოთ შრომისა და სანარმოო დისციპლინა, გავზარდოთ ადამიანთა, განსაკუთრებით კომუნისტების პასუხისმგებლობა, „მწვანე გზა“ მიეცეს მშრომელთა თვითმოქმედებასა და ინიციატივას.

როცა ადამიანთა აქტიურობის დონის ასამაღლებლად, მათდამი მომხოვნელობის გასაძლიერებლად ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსურ ღონისძიებებს ვსახავთ, ერთი ხუთთიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბოგინობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, პარაზიტები. მოდით გულახდილად ვთქვათ: ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ ბრძოლას ეწევა კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან, ზოგიერთის მეგნებაში შემორჩენილ ნეგატიურ გადმონაშთებთან, მაგრამ ეს ბრძოლა ყველგან და ყველას მიმართ სათანადოდ როდი ხორციელდება. მექრთამეობა, კარიერიზმი მჭიდროდ გადაწლართულია მაამებლობასთან, მლიქვნელობასთან. ამიტომ ბრძოლა უნდა გავამწვავოთ ასეთ გამოვლინებებთანაც.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ, რომელმაც მეტად მკაცრად შეფასა მექრთამეობის, მაქინატორობის, სხვა ნეგატიური მოვლენების ფაქტები, აღშფოთებით, ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ამ მხრივ რამე დანდობა, შებრალება არ მოხდება, რომ ბრძოლა არასოდეს შენელდება, პირიქით, უფრო გამკაცრდება, უფრო შემტევი და დაუნდობელი გახდება.

ყრილობამ კონკრეტული ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას — საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირს, თითოეულ სამინისტროსა და უწყებას, ადმინისტრაციულ, სავაჭრო, სატრანსპორტო, მომსახურების სფეროს, კულტურის, განათლების, სამეცნიერო და სხვა დანესებულებებს. და ყველგან, სადაც უნდა მოვითხოვდეთ საქმის გაუმჯობესებას, მთავარი როლი, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს კადრებს, შრომითი კოლექტივების სელმძღვანელებს, კომუნისტებს.

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, განუზომლად იზრდება მომკითხველობა რესპუბლიკის თითოეული კომუნისტისადმი არა მარტო საკუთარი ცოდნის პორიზონტის ზრდისათვის, თავისი ცხოვრებისა და ქცევისათვის, არამედ სხვა პარტიელი ამხანაგებისთვისაც, გვერდით მომუშავეთათვისაც, ყოველივე იმისათვის, რაც გარშემო ხდება. მუდმივად უნდა განვამტკიცებდეთ პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტს. ცნობილია, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ჩვენი პარტია განუყრელად უკავშირებს სწორედ კადრების ლენინური პრინციპებით შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საკითხს. ყოველ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკს უნდა ახასიათებდეს თავმდაბლობა, წესიერება, პრინციპულობა. ყველგან უნდა აღიკვეთოს ტრაბახის, სიტყვების კორიანტელის დაყენების, გაკეთებულის გაზვიადების, საერთოდ, ორგანიზაციული ფაციფუცის განწყობილება.

ახლა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების დღეებში, კიდევ უფრო მოელი ძალით უნდა გაისმოდეს ჩვენი პროპაგანდისტების, ლექტორების, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების ხმა. მათი, მთელი ჩვენი იდეოლოგიური კადრების გადაუდებელი საქმეა ყოველმხრივ და ღრმად განუმარტონ რესპუბლიკის ყველა მშრომელს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, მიაღწიონ, რომ თითოეულმა ადამიანმა, სადაც უნდა შრომობდეს და ირჯებოდეს იგი, სწორაფად იპოვოს თავისი სამოქმედო ადგილი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საპატიო გზაზე.

ჩვენი ცხოვრება, მუშაობის გამოცდილება და პრაქტიკა ყოველდღიურად ადასტურებს, თუ რაოდენ ეფექტიანი და შედეგიანია ხალხთან უშუალო ურთიერთობა, მათთან გულახდილი დიალოგი, მათი აზრების, წინადადებების, სურვილებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება. ასეთი ურთიერთობა, რომელის საუკეთესო გამოცდილებაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას აქვს, ამ დღეებში კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

სულ მალე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები შეუდგებიან ყრილობის მასალების განხილვას, მათ მისვლა-მოსვლა შეიმუშავებენ თავიანთ სამოქმედოსა და საასპარეზოს. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკუთარი მუშაობის კრიტიკულ და თვითკრიტიკულ ანალიზს, ყრილობის ტონი და სულისკვეთება ადგილებზეც უნდა იქნეს გადატანილი.

საქართველოს მშრომელები რწმენით, ნათელი ოპტიმიზმით შეპყურებენ მომავალს. მათ ამ რწმენას უორკვეებს ჩვენი პარტიის ურყევი ლენინური კურსი და ყოველდღიური მოღვაწეობა. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანიც მათი იმედიანი განწყობილების, მათი შთაგონიერების და საქმეების განხორციელების ნათელი პროგრამაა, საიმედო ორიენტირი.

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

შაბათობა გვიხმობს

● **თბილისის** საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელის“ კოლექტივი აქტიურად ემზადება შრომის დღესასწაულისათვის. 15 თებერვალს, სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი შაბათობის დღეს, განზრახული აქვთ გამოუშვან 50 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოს პროდუქციის ასორტიმენტშია ნატურალური აბრეშუმი, გასაწყობი ბაფთები, ფოჩები, სხვა საგალანტერეო ნაწარმი. აქ გამოშვებული პროდუქციის 90 პროცენტი იგზავნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მუდმივ მომხმარებელთა შორის არიან მოსკოვის სამკერვალო გაერთიანება „რადუგა“, ლენინგრადის სამკერვალო ფაბრიკა „ვესნა“.

კომუნისტურ შაბათობაზე გამოვა ფაბრიკის მთელი კოლექტივი. საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, მქსოველი ნ. ბესელია, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მქარგავი ვ. ზორინა.

წითელი შაბათობის დღეს ფაბრიკა დაზოგილი ნედლეულისაგან გამოუშვებს 10 ათასი მანეთის პროდუქციას.

● **რესპუბლიკის** უძველესი რკინიგზის ტრესტის—ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ კოლექტივი ერთ-ერთი უდიდესია დარგში. მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს მან უნდა შეასრულოს გაზრდილი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რომელთა ლირებულებითი გამოხატულება [illegible] ფაბრიკის დირექტორი [illegible] ფოლადის ლანდაგების მშენებლები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას, რომლებმაც გადაწყვიტეს სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად 15 თებერვალს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა. 180-ზე მეტმა სამეურნეოანგარიშიანმა კომპლექსურმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა დამკვრელურად დაადგინონ „წითელი შაბათობა“.

საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებმა — უ. თხელიძის კომპლექსურმა ბრიგადამ, აგრეთვე მ. ჭყოიძისა და ა. ხარატიანის - ბრიგადებმა, რომლებიც ამთავრებენ წალკა-ბოგდანოვკის გადასარბენის რკინიგზის ხიდის მშენებლობის სამუშაოებს, გადაწყვიტეს შაბათობის დღეს მიაღწიონ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას და იმუშაონ დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით.

● **ლენტეხი.** (საკ. კორ.). რაიონის შრომითი კოლექტივები აქტიურად ემზადებიან კომუნისტური შაბათობის ორგანიზაციული მოწყობისათვის.

სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ, შეიქმნა შაბათობის მომწყობი შტაბი, რომლის თავმჯდომარეა ფაბრიკის დირექტორი ი. მუსელიანი. შრომის ზეიმში 122 მკერავი მიიღებს მონაწილეობას. ისინი თავიანთ კონვეიერთან დაიკავებენ ადგილს და პროდუქციის გამოშვებაზე იშრომებენ. მკერავები ამ დღეს 750-ის ნაცვლად 800 ცალი მამაკაცის შარვალს დაამზადებენ. ფაბრიკაში დამკვრელური შრომით სახელი გაითქვა რაიონული საბჭოს დეპუტატის დ. მუსელიანის მკერავთა ახალგაზრდულმა ბრიგადამ. ეს კოლექტივი ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს.

ფაბრიკის მუშაკები 15 თებერვალს გამომუშავებულ ხელფასს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

● **ცაგერი.** (საკ. კორ.). კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად მოწყობის კარგი ტრადიცია აქვს საგზაო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — კ. მუშკუდიანი) მოწინავე კოლექტივს. წლევანდელი შაბათობისათვის, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას ეძღვნება, დიდი სამზადისი გააჩაღეს გზის მშენებლებმა. ამ დღეს იმუშავებს 321 კაცი, ისინი, ძირითადად, წყალტუბო-ლენტეხის საავტომობილო ტრასაზე შეასრულებენ 2140 მანეთის რკინაბეტონის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს, ღორღისაგან გაწმენდენ სამანქანო გზებს, კეთილმოაწყობენ მის ვაკისს, გზის მშენებელთა სპეციალური ბრიგადა დახმარებას გაუწევს თავის საშეფო კოლმეურნეობას. გამომუშავებულ ხელფასს — 700 მანეთს — ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

სურათზე: თბილისის ხაშენ მასალათა კომბინატის საიარაღო საამქროს ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი იური გოდუნოვი საამქროს მუშებს ესაუბრება ახლახან დამთავრებულ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

ს. კილასძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შემდეგ

ყრილობა მოგვიწოდებს, გვრაზმავს, აღგვანთებს!

დელეგატი საწარმოში დაბრუნდა

დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ კოლექტივის სახელოვანი წარმომადგენელი ნინო ბეყოშვილი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა ნინო კომბინატში და უკვე ათი წელია ემსახურება ნახევრად ავტომატურ მძლავრ დაზგა-დანადგარებს.

მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე ნინო ბეყოშვილი თავდადებით შრომობდა. ცვლაში საგეგმო 250-ის ნაცვლად 400-500 კილოგრამ მაღალხარისხოვან პროდუქციას ამზადებდა. ამჟამად მის შრომითს კალენდარზე უკვე 1989 წელია. ენერგიული ქალიშვილი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც არის. სწორედ ამიტომაც აირჩიეს იგი საწარმოს პარტიული კომიტეტისა და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრად, რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის დელეგატად.

... და აი, დელეგატი მშობლიურ საწარმოში დაბრუნდა, სადაც მას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. საამქროში, დაზგებთან გაიმართა სახელდახელო მიტინგი. თანამოსაქმეებმა მიულოცეს ნინოს ახალი დიდი ნდობა — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად არჩევა, უსურვეს შემდგომი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში. მათ თქვეს, რომ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მუშაობის დღეებში საწარმოს მშრომელები მეტი. მონდომებითა და პასუხისმგებლობით, ხარისხიანად შრომობდნენ.

ნინომ, თავის მხრივ, გაუზიარა მათ ყრილობის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, აღნიშნა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, რომელიც სუფევდა ყრილობაზე. დელეგატები, თქვა მან, ერთსულოვნად გამოხატავდნენ სურვილს, რომ ყველგან და ყველაფერში მკვეთრად განმტკიცდეს პარტიული, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო, წარმოების ზრდის რეზერვები.

ყრილობის მონაწილეთა აქტიურობას კარგი ტონი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც ჯ. ი. პატიაშვილმა გააკეთა. მოხსენებაში ღრმად გაანალიზდა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა საანგარიშო პერიოდში სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, პრინციპულად შეფასდა ნაკლოვანებანი და დარღვევები, დაისახა მათი დაძლევისა და ახალ წარმატებათა მოპოვების გზები.

სახელდახელო მიტინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეთორმეტე ხუთწლედში გაცილებით ორგანიზებული და პასუხისმგებლური შრომაა საჭირო პროდუქციის წარმოებისა და ხარისხის ზრდისათვის, მშრომელთა სოციალური მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების, მათი კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ამაში კი, თქვეს მათ, თითოეულმა უნდა შეავტანოთ პირადი წვლილი. არ უნდა შევურიგდეთ ფრენიებს, საქმეშოოს გამცდენებს, წუნისმკეთებლებს, ყოველგვარი ჯურის სხვა დამრღვევებს. მით უფრო, რომ ისინი არა მარტო თვითონ არ შრომობენ, არამედ სხვებსაც უტმენენ გულს და ზიანს გვაყენებენ. სამწუხაროდ, ასეთები ჩვენს კოლექტივშიც არიან. სწორედ სამშრომელოს უმბიზოდ გაცდენები და უგულო მუშაობაა ჩვენი საწარმოს ჩამორჩენის ერთ-ერთი ,მთავარი გამომწვევი მიზეზი, ამბობდნენ ისინი.

ნინო ბეყოშვილმა აღუთქვა თავის მეგობრებს, რომ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სამი თვის პირად დავალებას სკკპ XXVII ყრილობისათვის შეასრულებს და მხოლოდ მაღალხარისხოვან ნაწარმს გამოუშვებს. მანვე განაცხადა, რომ ვადამდე შეასრულებს წლიურ და ხუთწლედის დავალებებსაც. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს საწარმოს სხვა მუშაკებმაც.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲕᲘᲡᲘ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲡᲯᲝᲒᲡ

საქართველოს ჩაის პლანტაციებში ამჟამად მიმდინარეობს ბუჩქის მოვლის ზამთრის ციკლი. იმაზე, თუ რამდენად ხარისხოვნად ჩატარდება იგი, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია 1986 წლის მოსავლის ბედი. რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა გამოაცხადა პლანტაციების მოვლის, ახალი ფართობების გაშენების ოთხთვიური.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში ამ გადაწყვეტილების განმარტებისას გვითხრეს, რომ მეურნეობებმა სავალდებულო წესით უნდა დაიცვან ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ნორმები და დოზები, ჩაის ბუჩქის სხვადასხვა ვადები, შეასრულონ უხვმოსავლიანი „კოლხეთის“ ჯიშის ჩაის ბუჩქებით პლანტაციების გაახლების, სიმეჩხრის ლიკვიდაციის სამუშაოები.

შედარებით მოკლე ვადაში უნდა შეკეთდეს საღრენაჟო არხები, გაიწმინდოს ბუჩქები ქვებისა და სარეველა მცენარეებისაგან, მომზადდეს ფართობები ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის, აშენდეს ჩაის ფოთლის შესანახი დროებითი ფარდულები, შეკეთდეს პლანტაციებთან და ჩაის ფაბრიკებთან მისასვლელი გზები, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებისათვის მომზადდეს ჩაის საკრეფი მანქანები და ხელის ჩაის საკრეფი აპარატები, სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

ადგილებზე დახმარების გასაწევად მეჩაიეობის რაიონებში იგზავნებიან სახაგრომრეწვის სპეციალისტები. დასახულ ღონისძიებათა წარმატებებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მეცნიერებზე. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ გამოპყო სტანდარტული ნერგები.

ახლა მთავარია მკაცრი კონტროლი დაუწესდეს ოთხთვიურის მიმდინარეობას, უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცე დისციპლინა ყველა უბანზე, დაჩქარდეს უხეში ჩაის ფოთლის კრეფის სამუშაოები, რათა შესრულდეს ამ სახეობის პროდუქციის დამზადების საგეგმო დავალებანი. (საქინფორმი).

მოსავალი საერთო საზრუნავია

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲔᲡᲞᲔᲠᲐᲜᲢᲝ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ „დერ ესპერანტისტმა“ (ბერლინი), რომელიც თანამედროვე ცხოვრების სხვა აქტუალურ პრობლემებთან ერთად მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურების დაახლოების საკითხებსაც აშუქებს, ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოაქვეყნა მასალა შოთა რუსთაველის შესახებ, რომლის პოემაც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ცალკეა განხილული ესპერანტო ენაზე პოემის თარგმანი. კერძოდ, ჟურნალი წერს: „ზურაბ მაყაშვილს უნდა ვუმადლოდეთ რუსთაველის „ფფორიზმების“ თარგმნას საერთაშორისო ენაზე. „ფფორიზმების“ ეს კრებული სულ 78 გვერდს შეიცავს, მაგრამ იგი მთლიანად ასახავს შუა საუკუნეების დიდი ქართველი პოეტი-მოაზროვნის ჰუმანისტურ მსოფლმხედველობას“.

ჟურნალის საილუსტრაციოდ მოჰყავს რუსთაველის ყველაზე პოპულარული აფორიზმები ესპერანტო ენაზე და დასძენს, რომ ზ. მაყაშვილმა დაამთავრა „ტიგრაფელულოს“ („ვეფხისტყაოსანი“) თარგმანზე მუშაობა.

(საქინფორმი).

ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ნავსადგურისა და ბათუმის კვანძის რკინიგზელები ახალი შრომითი მიღწევებით ეგებებიან სკკპ XXVII ყრილობას. დოკერებისა და რკინიგზელების მიერ გემების დამუშავების ახლებურმა მეთოდმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ერთობლივი კომპლექსური ღონისძიებების (გაახორციელებით საერძნობლად შემცირდა სატვირთო გემების დგომის დრო და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

აი რამდენიმე მაგალითი: 58 საათით ადრე დამთავრდა იტალიის გემის დამუშავება. რამდენიმე დღით ადრე გავიდა რეისში ესპანეთის გემი „მაგდალინა დელმარი“, ბელგიის გემის დამუშავებისას კი 69 საათი დაიზოგა. ახლა რეიდზე მდგომი გემების აბსოლუტური უმრავლესობა შეუფერხებლად და ვადამდე მუშავდება. ამით იზრდება ნავსადგურში გემების გამტარუნარიანობა და, რაც მთავარია, იზოგება ძვირფასი დრო, ორი თვის გეგმას დოკერები სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულებენ.

ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

მოსკოველ ექიმთა ინტერნაციონალური ბრიგადა

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ექიმთა ინტერნაციონალური ბრი

მეტს უნდა მივაღწიოთ

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შუშაობაში 1400-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ დედაქალაქის, ინდუსტრიული ცენტრებისა და სასოფლო რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა, დელეგატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების თანამიმდევრულმა შესრულებამ ხელი შეუწყო შუშაობის სტილის სრულყოფას, ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებლობის ვითარების შექმნას. ყოველივე ამან გაუმჯობესა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ხელი შეუწყო რესპუბლიკის პრესტიჟის ამაღლებას.

რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა ხუთწლიანი დავალებანი სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მიხედვით, ზეგეგმით გამოუშვა მილიარდ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, წარმატებით განხორციელდა მრავალი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. დადებითი ძვრები მოხდა საწარმოო ძალების განვითარებაში, რესპუბლიკის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი გაიზარდა 27 პროცენტით, ეროვნული შემოსავალი — 27,5 პროცენტით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვით მიღებულმა მთლიანმა ეკონომიკურმა ეფექტმა თითქმის 500 მილიონ მანეთს მიაღწია. რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გადადებისათვის პარტიის დიდი ზრუნვის კონკრეტული გამოვლინება გახდა, ითქვა ყრილობის ტრიბუნიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დაიწყოს ამიერკავკასიის საელექტროლო რკინიგზის, ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზსადენის, საქართველოს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. აღფრთოვანებით აღიქვეს დელეგატებმა ცნობა იმის შესახებ, რომ პარტიამ და მთავრობამ დასახეს 1986-1990 წლებისათვის თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

ქამათში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა, თბილისისა და ფოთის საქალაქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა გ. გაბუნიამ, ბ. გულუამ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი, უწყებრივი და ადგილობრივი ინტერესების უკეთ შერწყმას ხელი შეუწყო ტერიტორიული დარგთშორისი საწარმოო კომპლექსების ჩამოყალიბებამ, რომელიც თავის დროზე დაიწყო ქალაქ ფოთსა და თბილისის საქარხნო რაიონში.

არსებული წარმატებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი მიჯნების მიღწევის კარგი პლაცდარმია. და სავსებით ბუნებრივია, რომ, როცა რესპუბლიკის ხელაღებული დღე განეჭრიტა, ყრილობამ მთელი თავისი ყურადღება მაჰყრო გადასაჭრელ პრობლემებსა და ამოცანებს, გამოუყენებელ რეზერვებს, ისინი კი ცოტა როდი გვაქვს.

ვერ უზრუნველყვეს წარმოების დაგეგმილი ზრდა ბევრმა საწარმომ და დარგმაც კი: მსუბუქი და აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, გაერთიანებებმა „აზოტმა“, „ქიმბოჭკომ“, „საქნავთობმა“, „საქქვანახშირმა“, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ „საქსოფლმანქანამ“, რუსთავის მეტალურგიულმა და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხნებმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ. ვერ შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ამოცანები, ნელა ახლდება მათი ასორტიმენტი, ნაწარმის ხარისხი არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

თუმცა ბოლო წლების განმავლობაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა ზოგიერთ მიგდებულ მთის სოფლებში ცხოვრების აღორძინებისათვის, მაინც, როგორც აღინიშნა ყრილობაზე, ამ პრობლემას არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა. დაკარგვის საფრთხე ემუქრება ბევრ მიწის სავარგულს, სათიბს, საძოვარს. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და მის გადამუშავებას შორის დისპროპორციის ლიკვიდაციისათვის.

საფუძვლიანად განიხილეს ყრილობაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარადამ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჟორდანიამ და სხვებმა აღნიშნეს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს ნაყოფიერი როლი, რომელმაც ხელი შეუწყო იმას, რომ დამყარებულიყო პირდაპირი, ეგრეთ წოდებული „პარტნიორული ურთიერთობა“ სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივებს შორის მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად. რესპუბლიკაში აპრობაციას გადის წარმოებასთან აგარარული მეცნიერების ინტეგრაციის სისტემა. ახალ პირობებში მუშაობამ პირველივე წელს მოგვცა 65 მილიონი მანეთი ეკონომიკური ეფექტი.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის სრულყოფის საკითხებს. ამას შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ ელექტრომეგრაგნილე შ. ალიევი, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მქსოველი ნ. გელდიაშვილი და სხვები. დიდი შეფასება დაიმსახურა თბილისელ ავიამშენებელთა გამოცდილებამ, რომლებმაც გამოიჩინეს ინიციატივა „თითოეული საწარმო — საუკეთესოთა შორის დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში!“

საანგარიშო პერიოდში არსებითად გაიზარდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობა, მათი გავლენა შრომითი კოლექტივების ცხოვრებაზე. სიტყვისა და საქმის ერთიანობის უზრუნველყოფას, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას ბევრად შეუწყო ხელი ღია პარტიულ კრებებზე კომუნისტთა ანგარიშებმა, რომლებიც ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში.

ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა (ლ. ვარდოსანიძე), რომლებსაც დიდი ნაკლოვანებები აქვთ მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციაში, კადრებთან მუშაობაში.

რესპუბლიკის ეკონომიკაში რთულ უბნად რჩება კაპიტალური მშენებლობა და, კერძოდ, საწარმოო ფონდების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სკოლების, სბავშვო ბაგა-ბაღების ამოქმედება. ჩაშლილია სბინაო მშენებლობის გეგმები. უაღრესად დაბალია მისი ხარისხი. ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს მშრომელთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურება. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ვაჭრობაში. ამ სფეროსადმი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილისათვის ამას წინათ მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლეს მ. ქაჯაია.

მომხსენებელმა კამათის მონაწილე ორატორებმა მკაცრად, მიუკერძოებლად გააკრიტიკეს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებმაც სერიოზული შეცდომები და ხარვეზები დაუშვეს თავიანთ მუშაობაში. სამართლიანი საყვედური გამოითქვა, კერძოდ, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (ნ. ვაშაძე), კავშირგაბმულობის სამინისტროს (ვ. კობახიძე), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (გ. ლეჟავა) ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც სიმტკიცესა და ინიციატივას არ იჩენენ დარგების განვითარების კარდინალური პრობლემების გადაჭრაში.

თუმცა რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა საზოგადოებრივი — [illegible] ეკონომიკის სამეურნეო კლიმატის გაჯანსაღებისათვის, კადრების პასუხისმგებლობის გადიდებისათვის, მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შენელების საფუძველს, თქვეს დელეგატებმა. ყრილობამ მოითხოვა კვლავაც განაგრძონ მტკიცე ბრძოლა ცხოვრების ლენინური ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. პარტიის წესდების მოთხოვნების, საბჭოთა კანონების წინაშე ყველა თანასწორია. ამიტომ პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახისათვის შეურიგებელი ბრძოლის ლოგიკურ განგრძობად აღიქვეს რესპუბლიკაში ის, რომ მკაცრ პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ზოგიერთი მუშაკი, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები ეკავათ, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ს. ხაბეიშვილი, რომელმაც დაკარგა კომუნისტის სახე, მხილებულია ანგარებაში, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში.

მოხსენებასა და ორატორთა გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობის საკითხებს. პარტიულ ორგანიზაციათა მეცადინეობის ძირითანა სამეცნიერო ამოცანთა გადაწყვეტის იდეოლოგიური, ეკონომიკური, ინტერნაციონალური და ბატრიოტული [illegible] ეფექტიანობა. იზრდება [illegible] ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკური ინტენსიფიკაციის ამოცანათა, შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტიურობა. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა, მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ნიშნიანიძემ, სულ უფრო ხშირად მიმართავენ თანამედროვე თემატიკას, ისწრაფვიან უფრო ღრმად ასახონ საბჭოთა ცხოვრების წესის ნიშნები.

დელეგატებმა დიდი დაინტერესებით განიხილეს და მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, შემოთავაზებული ცვლილებებითურთ პარტიის წესდების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტები. ყრილობამ მთლიანად და სავსებით დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას.

ნ. პოტაპოვი,
გ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტები).

ჟ. თბილისი.

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

შ. გ. ნიშნიანიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე

დღეს ჩვენს ცხოვრების ყველა უბანზე — ეკონომიკაში, მართვისა და კულტურის სფეროში აღორძინებისა და განახლების სული ტრიალებს. ყველგან ინერგება ხელმძღვანელობის ნოვატორული სტილი და მისი შესაბამისი დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთება. ყოველივე ეს ჩვენი ხალხის ახალ შრომითს აღმავლობასა და შემოქმედებითს ენთუზიაზმს იწვევს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოებისა და ეკონომიკის ინტენსიფიკაციის პრობლემები მთელი ჩვენი ცხოვრების ძირეული და სიღრმისეული პრობლემებია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში წარმოდგენილია ჩვენი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ღრმა ანალიზი, დაწვრილებით არის განხილული, როგორც წარმატებანი, ისე რესპუბლიკაში არსებული ნაკლოვანებანი და პრობლემები, დასახულია ის გზები და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც უნდა დაძლიოთ ეს პრობლემები.

მე საშუალება მქონდა მესაუბრა ყრილობის დელეგატებთან, ჩემს კოლეგებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ საანგარიშო მოხსენებაში გამოთქმული იყო თითოეული ჩვენგანის საფიქრალი და საფქმელი.

მიმაჩნია, რომ ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ყველაზე დიდი შეფასება. ამ საუბრებმა ერთხელ კიდევ დამაწმუნა, რომ რესპუბლიკის ინტელიგენცია ახლა ერთგულად უჭერს მხარს საქართველოს კომუნისტური პარტიის გეზს ყოველგვარი ნაკლოვანებების წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. თქვენ, ალბად, იცით, რომ ბუნებაში ბრძოლა აქვთ ფუტკრებსა და კრაზანებს. ადამიანთა მოდგმაც იყოფა, სამწუხაროდ, ფუტკრებად და კრაზანებად, ესე იგი, მშრომელებად და მუქთახორებად. აქ, ყრილობაზე ითქვა: ცუდია, როცა თვით დამჭირებზე არეთუ ცოტაა დასაჭერიო. იგივე აზრი მე ასე მაქვს წარმოთქმული:

წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს,
ხდება, ციხეში აგზავნის.

მაგრამ ამჟამად საქართველოში კრაზანებს შეურიგებელი ომი გამოუცხადეს. რაც დღეს ხდება ამ მიმართულებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქალაქეობრივი გაბედულების შედეგია, რომელიც ხალხს ჭეშმარიტ მხარდაჭერაზეა დაფუძნებული. ყველა მოვლენისათვის თავისი სახელის დარქმევის, სრული სიცხადისა, უკომპრომისობისა და კომპეტენტურობის ბრძნული პოლიტიკა იმარჯვებს დღეს საქართველოში.

საანგარიშო მოხსენების დებულებები პროგრამული ხასიათისაა. მათი განხორციელებისათვის არ უნდა დავზოგოთ არც ენერგია, არც ძალ-ღონე. ამას უნდა მოხმარდეს მშრომელთა გარჯა, მეცნიერთა ანალიზის უნარი, მწერალთა შემოქმედება.

მწერლობა მოვალეა წინ უსწრებდეს სინამდვილეს, დროს. მწერლის იარაღია ნიჭი და სიმართლე, სიმართლე პოლიტიკური, სიმართლე სოციალური, სიმართლე ესთეტიკური. ნება მიბოძეთ, ზოგიერთი მოსაზრება გაგიზიაროთ ჩვენი სინამდვილის საჭირბოროტო საკითხებზე.

ზშირად არ სრულდება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი. პირდაპირ გასაკვირია, როგორ ურიგდება კომუნისტის სინდისი ასეთ ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს. ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი ელემენტარულად თავს არიდებს სრულიად მარტივი საკითხების გადაწყვეტასაც. იწყება შეთანხმებების დაუსრულებელი ჯაჭვი, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გაჭიანურება სხვადასხვა რანგის უფროსებს შორის, სანამ, საბოლოოდ, საქმე არ მივა ისეთ მაღალი თანამდებობის პირამდე, რომელსაც ამ ბიუროკრატიულ ტერატურას მხედველობიდან რჩება ადამიანის ნიშან-თვისებათა გვირგვინი — თავგანწირვა, სულიერი მაქსიმალიზმი.

წინ ახალი ჰორიზონტები, ახალი სიმაღლეებია ასათვისებელი. ქართული მწერლობა მზად არის ამ ახალი სივრცეების, ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დასალაშქრავად. მწერლობა მართალი სიტყვის ქურუმი უნდა იყოს. მართალი სიტყვა სამკურნალო ბალიტერატურას მხედველობიდან რჩება ადამიანის ნიშან-თვისებათა გვირგვინი — თავგანწირვა, სულიერი მაქსიმალიზმი.

წინ ახალი ჰორიზონტები, ახალი სიმაღლეებია ასათვისებელი. ქართული მწერლობა მზად არის ამ ახალი სივრცეების, ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დასალაშქრავად. მწერლობა მართალი სიტყვის ქურუმი უნდა იყოს. მართალი სიტყვა სამკურნალო ბალიზვითაა. იგი უნდა კურნავდეს ერის წყლულებს, მალამოდ უნდა ეცხებოდეს დროის სატკივარს. მართალი სიტყვა ბასრი მახვილია — სიმართლე, ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენებებზე

(დასასრული)

ლ. ჟ. ოტიაშვილი

ხიღნალის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ მექანიზატორი

ვინც ყოფილა სიღნაღის რაიონში, არ შეიძლება არ შეენიშნა რაიონის შესასვლელთან კვარცხლებეზე დადგმული ტრაქტორი. ეს ძეგლი აღმართულია იმათ პატივსაცემად, ვინც ტეხდა შირაქისა და ალაზნის ველების ყამირს, სჭედდა პირველი ხუთწლედების გამარჯვებებს.

პირადად მე ეს ტრაქტორი მაგონებს რესპუბლიკის პირველ ტრაქტორისტ ქალებს, ლენინის ორდენოსნებს სოფიო უსენაშვილსა და ელენე ნატრიშვილს, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში შეცვალეს ფრონტზე წასული მამაკაცები და ზურგში იბრძოდნენ გამარჯვების მოსაახლოებლად.

მათთან ერთად შეიძლება ვახსენოთ რაიონის ათასი კომუნისტი, სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სახელოვან შრომითსა და სბრძოლო ტრადიციებს, სახელი გაუთქვეს შრომლიერ მხარესა და მის მცხოვრებლებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1984-1985 წლებში მიიღო რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დადგენილება ჩვენი რაიონის თაობაზე, რომლებმაც ხელი შეუწყო მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

ამას წინათ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე შეჯამდთ ორწლიანი მუშაობის შედეგები. მაჩვენებლები ურიგო როდი აღმოჩნდა. შარშან მივიღეთ 8 მილიონნ მანეთი მოგება. თვალნათლივ დაფიქრუნდით, თუ რისი მიღწევა შეიძლება შრომისადმი კეთილსინდისიერი და ერთგული დამოკიდებულებით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით.

ბოლო ხანს განსაკუთრებით გაზარდა თითოეული კომუნისტის როლი. მეც უამრავი საქმე მაქვს, როგორც კომუნისტსა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს. მექანიზატორთა უგანწესო ბრიგადასთან ერთად ჩაევები უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. დასახული მიზნების მიღწევის საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული მექანიზატორებზე, იმაზეც, თუ რამდენად მაღალია მექანიზაციის დონე მეურნეობაში, მთლიანად დარგში.

თუმცა ჩვენი კოლმეურნეობა მექანიზაციის დონის მიხედვით რაიონში მოწინავედ ითვლება, სინამდვილეში ეს ასე არ არის. სამანქანო ეზოს მდგომარეობა ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი არ შეესაბამება. უაღრესად პრიმიტიულია სარემონტო სახელოსნო, არ არის წყალი, გათბობა, ბეტონის მოედანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ახალგაზრდობა ქალაქში მიდის, ტექნიკა კი ცდება, კარგავს საექსპლოატაციო თვისებებს.

რაიონში და მთელ რესპუბლიკაშიც ცოტაა მექანიზატორი ქალები. ვგრძნობ, რომ ამაში მეც მიმიძღვის ბრალი. ჩვენ, სტაჟიანი მექანიზატორები, მეტად უნდა ვზრუნავდეთ ახალგაზრდა ცვლის აღზრდისათვის. და, საერთოდ, მექანიზატორთა კადრების აღზრდის საკითხი ძირეულ გადასინჯვას საჭიროებს. თანამედროვე ტექნიკა ფრიად რთულია და მისი მართვა ბაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. დღეს ტრაქტორისტი უნდა ერკვეოდეს არა მარტო მანქანის მოწყობილობაში, არამედ აგროტექნიკაშიც, ეკონომიკაშიც, აგრეთვე ჰქონდეს მინიმალური საინჟინრო ცოდნა.

სოფლად ტექნიკური გარდაქმნა დროის მოთხოვნაა. ამიტომ გასაგებია აღფრთოვანება, რომლითაც აღვიქვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სიღნაღის რაიონის მაგალითისამებრ სოფლის მეურნეობის საინჟინრო სამსახურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. იგი ბევრ რამეს გვავალებს. ის, რომ მექანიზაციის ახალი საშუალებებიც, პროგრესული ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვის ობიექტად ჩვენი რაიონი აირჩიეს, ბევრ რამეს ავალებს თითოეულ ჩვენგანს. ამ, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ჯეროვანი წესრიგის დამყარებას საქმიანობის ყველა სფეროში, რეზერვების ფართო გამოყენებას, მუშაობის ყველა უბანზე პასუხისმგებლობისა და დისციპლინის გაძლიერებას. აქ კი ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ყველასათვის ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინათ სიღნაღის რაიონში გამოელინდა სერიოზული დანაშაულობანი. მარტო ანაგის ღვინის ქარხანაში დატაცებული იყო 11 მილიონ მანეთზე მეტი. ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე სახელმწიფოს დააკლეს 50 მილიონი მანეთის პროდუქცია, ჩაიშალა სახელმწიფო გეგმების შესრულება. მარტო 1983 წელს რაიონის სოფლის მეურნეობას 5 მილიონი მანეთის ზარალი მიადგა. შესწორდა დისციპლინა, გაიზარდა ნეგატიურ გამოვლინებათა რიცხვი. რაიონის მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის, უწინარეს ყოვლისა, პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის ბუჩუკურის მანკიერმა მეთოდებმა მთლიანად ჩაშალეს ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. და აი, ასეთ პირობებში ხაბეიშვილი სიღნაღის რაიონის. მაგალითზე ამბადება დადგენილებას პარტიის/რაიკომის მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ.

აი სადამდე მიგვიყვანა რესპუბლიკისა და რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელის მოღალატობამ. დღეს ეს მანკი მხილებული და ჯეროვნად შეფასებულია, მაგრამ მე, კოლმეურნეს, ჩემს ამხანაგებს და კოლეგებს გვაშფოთებს კითხვა: ასეთი დიდი დანაშაულობანი ერთ დღეში უცებ როდი ჩნდება. ისინი წლობით „მწიფდება“. მაშ, სად ვიყავით ამ დროს ჩვენ, კომუნისტები, რაიონის პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის ადმინისტრაციული და საკონტროლო ორგანოების მუშაკები. რატომ მოხდა ისე, რომ დავუშვით, დროზე არ აღვაკეთეთ ის, რაც მოხდა. პარტია მოითხოვს, რომ თითოეული კომუნისტი იყოს უწინარეს ყოვლისა მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, უკომპრომისო სხვებისადმი, გარშემო მყოფთ უჩვენებდეს პარტიის, ხალხის უანგარო, თავდადებული სამსახურის მაგალითს.

ალმოფხვრათ ნაკლოვანებანი, საქმიანობა წარგმართოთ პარტიისა და მთავრობის დღევანდელ მოთხოვნათა კალაპტით, მივაღწიოთ მეტ შრომითს უკუგებას და ახალ მიღწევებს საზოგადოების, ადამიანების საკეთილდღეოდ — ეს მიგვაჩნია როგორც კომუნისტებს, ისე თითოეული მშრომელს მოკალაქეობრივ მოვალეობადაც.

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, რაიონის ყველა მშრომელი ძალ-ღონეს არ დაეშურებრთ, რათა დაკმაყოფილდეს მინიმალური საინჟინრო ცოდნა.

სოფლად ტექნიკური გარდაქმნა დროის მოთხოვნაა. ამიტომ გასაღებია და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ იმპერიალიზმის ხრკების აღსაკვეთად, ყოველი აგრესორის გასანადგურებლად.

ამას გვასწავლის ისტორიაც, ამას გვავალებს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნაც, რომლის გამარჯვების 40 წლისთავი აღნიშნა ჩვენმა ქვეყანამ შარშან.

ამიერკავკასიელი მეომრები დიდად აფასებენ ზრუნვას, რომელსაც იჩენენ რესპუბლიკაში მეომრების სამსახურისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს ჯერ კიდევ დიდ სირთულეებს აწყდება სამხედრო მოსამსახურეთა ბინით უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრა.

მეტ ყურადღებას მოითხოვს დაწყებითი სამხედრო მომზადება. ამ ამოცანის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით: სამხედრო ხელმძღვანელების მომზადების დონის ამაღლებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის სრულყოფის გზით, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე. ჩვენ ყველა ქმაყოფილებთ შეეხვდით თეოლავის პედაგოგიური ინსტიტუტის სამხედრო ხელმძღვანელთა პირველ გამოშვებას. მართალია, დროთადად ქალაქის ახალგაზრდობით მისმა დაკომპლექტებამ ის გამოიწვია, რომ სოფლის სკოლებში კურსდამთავრებულთა ნაწილი არ წავიდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა დაჩქარდეს უმაღლესი სასწავლებლების, სამხედრო კათედრების, დოსაფის სკოლების, განსაკუთრებით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის კომპლექსების მშენებლობა და სრულყოფა. დღეისათვის ხომ სასროო ტირეში აქვთ ამ სასწავლებლების მხოლოდ 30 პროცენტს, სრული კომპლექსები კი 13 პროცენტზე ცოტა მეტს.

სასურველია, რომ ახალგაზრდებმა დაწყებითი სამხედრო მომზადების დროს შეიძინონ არა მარტო სამხედრო-ტექნიკური ცოდნა, არამედ უკეთ გამოიწრთონ სულიერად, ფიზიკურად, მზად იყვნენ მხედრული ცხოვრების სიძნელეთა გადალახვისათვის.

ამავე დროს ნელა უმჯობესდება სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობა ახალგაზრდობაში. აღმოფხვრილი არ არის ისეთი ფაქტები, როცა გასაწვევი კომისიების შემადგენლობის ცალკეული მედიკოსები არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს. ამის გამო არ მცირდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ახალგაზრდა ჯარისკაცების დაბრუნება.

ამ კომისიების მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კარგად აღჭურვილი გასაწვევი პუნქტების არსებობაზე. დღეს რესპუბლიკაში ასეთი პუნქტები არა აქვს რაიონული საქალაქო სამხედრო კომისარიატების თითქმის 20 პროცენტს. აღმოფხვრილი არ არის გარკვეული ნაკლოვანებანი სამხედრო აღრიცხვის დაყენებაში, გასაწვევ პუნქტებში მოქალაქეების მიწერაში.

უნდა გავაქტიუროთ ჩვენი ერთობლივი მეცადინეობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალური აღზრდისათვის, შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მისი მომზადების გასაუმჯობესებელ მუშაობაში, გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოთა, საზოგადოებრივი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სასწავლებლების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების შესახებ სსრ კავშირის კანონის მკაცრი დაცვისათვის. ამ მუშაობის შემდგომი სრულყოფის სასაკეთო საშუალებას ქმნის სკკპ XXVII ყრილობისათვის გაჩაღებული მზადება.

ისწრაფვიან რა ღირსეულად შეეგებონ მშობლიური პარტიის ყრილობას, მერმრებმ დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ მხედრულ ოსტატობას, აცსადებენ, რომ მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ნებისმიერ აგრესორს. თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელი სირთულის მიუხედავად, საბჭოთა ხალხს უზრუნველყოფილი ექნება მშვიდობიანი შრომა. იარაღი, რომელიც მან გადასცა თავის შვილებს, საიმედო ხელშია.

ფ. ს. სანაკოევი

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

იმ ამოცანების კომპლექსში, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებით იყო დასახული, სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის დაძლევის პრობლემებს უმთავრესი ადგილი ეკავა ოლქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

განვლილი ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 66 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 12,2 პროცენტით, ფონდშეიარაღება — 22,6 პროცენტით. სოფლის მეურნეობის მოლიანდ პროდუქციის ზრდამ შეადგინა 14 პროცენტი, ერთიორად შემცირდა ზარალიან მეურნეობათა რიცხვი. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები. საზოგადოებრივი წარმოების განვითარებამ განაპირობა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, ხელი შეუწყო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტას.

მაგრამ ყოველივე დასახულის განხორციელება როდი შევძელით. კერძოდ, არ შესრულებულა პროდუქციის მიწოდების, ნომენკლატურისა და ხარისხის გაუმჯობესების, ხორცისა და რძის წარმოების დავალებანი, ვერ გადაწყდა ყველა სოციალური საკითხი.

როდესაც კრიტიკულად ვაფასებთ საოლქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, ჯუნდა ვალიაროთ, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა გვეკისრება სწორედ ჩვენ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან თანამდევრულობას, პრინციპულობასა და სიმტკიცეს დასახული ამოცანების მისაღწევად.

დღევანდელ წარმატებლობათა არსებითი ნაწილი განაპირობა იმ მცდარმა სამეურნეო პოლიტიკამაც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ხორციელდებოდა წინააღ. ასეთი პრაქტიკის ლოგიკური შედეგი გახდა ის, რომ სამხრეთ ოსეთი ჯერჯერობით საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე უფრო ნაკლებგანვითარებული რეგიონია და მისი წვლილი საერთო-რესპუბლიკურ ყოლაბაში ერთობ მოკრძალებულია.

ოლქის სახალხო მეურნეობა დღესაც შეუწონასწორებელია. ეკონომიკური პოტენციალის ზრდას აფერხებს სათბობ-ენერგეტიკული ბაზის უკმნლობა, მიწერალური ნედლეულის რესურსების შეზღუდულობა, ჩამორჩენა ეკონომიკის საკვანძო დარგების — სამშენებლო ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

შეშფოთებას იწვევს დისპროპორციის ზრდა მრეწველობის დაგეგმილ გაფართოებასა და მის სარესურსო უზრუნველყოფას შორის. მრეწველობის კონცენტრაციის დონე ბუთჯერ უფრო მცირეა, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში, მისი მრავალპროფილიანობა კი მცირე საწარმოების პირობებში არ იძლევა შესაძლებლობას რაციონალურად გამოიყენოთ მატერიალური, საფინანსო და შრომითი რესურსები.

შრომატევადი, ტექნიკურად სუსტად აღჭურვილი წარმოებების სიჭარბე ამრკოლებს სპეციალიზაციის განვითარებას, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებას, ზღუდავს შრომის ნაყოფიერების ზრდას და, საბოლოო ანგარიშით, დაღს ასვამს გამოშვებული ნაწარმის ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კავშირგაბმულობის განვითარების ჩამორჩენის, საავტომობილო გზების — ოლქის სატრანსპორტო კომუნიკაციების ერთადერთი სახეობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას შედეგად მოსდევს დიდი დანაკარგები. ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს განეკუთვნება აგრეთვე საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის უფრო ეფექტიანი განვითარება. აქ ბუნებრივი პირობები იმდენად ხელსაყრელია, რომ შეიძლება შეიქმნას საკვანძო ობიექტები.

უკვე დიდი ხანია სასურველი პროგრესისათვის ვერ მიგვიღწევია სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომელიც რთულ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებში ფუნქციონირებს. წარმოების სპეციფიკა განაპირობებს პროდუქციის წარმოების დიდ თვითღირებულებას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება შესყიდვის ფასების დონეს. ეს განსხვავება ყოველწლიურად იფარება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან. შესყიდვის ფასების ზონალური სისტემა ისევე საჭიროა, როგორც მიწათმოქმედების ზონალური სისტემა.

დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გამტკიცდეს საკვები ბაზა და განვითარდეს ინფრასტრუქტურა, აგრეთვე გადაწყდეს მთის სოფლის სოციალური საკითხები. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ 1990 ან 2000 წლისათვის რესპუბლიკურ დონეს ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების — ეროთლრეი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონისა და ხალხის ცხოვრების სოციალური ასპექტების მიხედვით.

სარესურსო შეზღუდულობიდან გამომდინარე, შეიძლება ვილაპარაკოთ კაპიტალტევადი და მეცნიერებატევადი დარგების შექმნის შესახებ, ხოლო ოლქის ენერგეტიკული პოტენციალის გადიდების პირობებში — აგრეთვე ენერგოტევადი წარმოებების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების ჩამოყალიბების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმის მიერ წამოყენებული იმ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების დედარსს, რომელსაც ახლა განვიხილავთ, წარმოადგენს ადამიანის ფაქტორის აქტივიზაცია. დღეს გვმართებს არა მარტო უფრო პროდუქტიულად გამოვიყენოთ მუშაკი და გავზარდოთ შრომითი საქმიანობის ეფექტიანობა, არამედ აგრეთვე უფრო სრულადაც ჩავბათ აღმშენებლობის პროცესში საზოგადოების მთელი ინტელექტუალური პოტენციალი.

დღევანდელობა მოითხოვს გავაძლიეროთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის სიმძაფრე, ბრძოლისა, რომელიც დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ. კიდევ უფრო მტკიცედ უნდა წარვმართოთ შეტევა სოციალისტური კანონიერებისა და მორალის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ.

ჩვენი ოლქის ყრილობის დელეგატები, სამხრეთ ოსეთის ყველა კომუნისტი მთლიანად უჭერენ მხარს რესპუბლიკის კომუნისტთა ახლანდელი ფორუმის მოთხოვნებს, რომ მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმათ, ვინც თავისი ქცევით არცხვენს პარტიის წევრის სამაღლო წოდებას, და რესპუბლიკის შემდგომი აღმავლობისათვის განვაგრძოთ უკომპრომისო ბრძოლა სოციალიზმისათვის ყველა უცხო გამოვლინების წინააღმდეგ.

ადამიანი, მისი ცხოვრებისეული საზრუნავი და შრომითი საქმიანობა, ზნეობრივი და სოციალური მისია — აი ის მთავარი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩვენი პარტიული ყრილობა. ამ ფუძემდებელი მოთხოვნებით იხელმძღვანელებს საოლქო პარტიული ორგანიზაცია დღეანდელი ფორუმისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების დროს.

ჟ. კ. შარტავა

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია რესპუბლიკის კომუნისტთა მორიგ ფორუმს შეეგება ქალაქში მიღწეული შედეგების გამო უკიდურესი უკმაყოფილების გრძნობით. ჩვენ ვერ შევძელითთ ისე განგვეხორციელებინა ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, რომ ძირეული გარდატეხა მოგვეხდინა განვითარების დაგეგმილი ტემპისაგან დაშვებული ჩამორჩენის შემცირებაში.

ხუთი წლის მანძილზე თუმცა იზრდებოდა ძირითადი ფონდები და ფონდდაჯურვილობა, მაგრამ შემცირდა საწარმოო სიმძლავრეთა და ფონდუქუგების გამოყენების დონე. შრომის ნაყოფიერების ტატებამ მხოლოდ 12 პროცენტი შეადგინა, სასაქონლო პროდუქციისამ კი 20 პროცენტი, შესაბამისი დაგეგმილი 25 და 40 პროცენტის ნაცვლად. დაშვებულია 140 მილიონი მანეთი სხვაობა.

ბევრი სიძნელე შეუქმნა ქალაქს, რესპუბლიკას საწარმოო გაერთიანებების „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ კოლექტივების ქრონიკულად ქცევულმა არასტაბილურმა მუშაობამ.

რა არის შექმნილი ვითაობის მიზეზები? ბუნებრივია, მათ შორის არის ობიექტური მიზეზებიც. მაგრამ ისინი შეიძლებოდა მნიშვნელოვანწილად დაგვეძლია და მთლიანად მიგვეღწია უკეთესი შედეგებისათვის, სათანადოდ რომ ემოქმედა სუბიექტურ ფაქტორს. მაგრამ გვაწუხებს დისციპლინის დაბალი დონე, შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, კადრებთან მეტად სუსტი მუშაობა. ეს კი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის, ცალკეული კომუნისტების როლის დაკნინების შედეგია.

ამავე დროს, როგორც სავსებით სამართლიანად იყო ხაზგასმული საწარ მოო გაერთიანება „აზოტის“ სანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე, ბევრი საწარმოს ან მათი ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელებს არ ძალუძთ თვითონ, ზემდგომი ორგანოების ჩაურეველად დაძლიონ სიძნელენი, გადაწყვეტონ ზოგჯერ ელემენტარული საკითხები, რომლებიც ძირითადად შესაბამისი რგოლების მუშაკთა ჯეროვან კომპეტენციას მოითხოვს.

რუსთავის მცხოვრებნი სამართლიანად გვაკრიტიკებენ ჩვენ, ქალაქის ხელმძღვანელობას, სანთლის შენებლობის ცუდი ხარისხის გამო. კერძოდ, რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატის მიერ აშენებულ სახლებში არ შედიან ისინიც კი, ვისაც მეტისმეტად სჭირდება ბინები.

რუსთაველ კომუნისტებს, როგორც ეს ერთხელ კიდევ ცხადყო საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ, კარგად აქვთ შეგნებული, რომ დროა ბოლო მოეღოს ყოველივე ამას — ჩამორჩენასაც ეკონომიკაში, ყოველგვარ დარღვევებსაც, რომლებსაც, როგორც საქალაქო პარტკონფერენციაზე ერთ-ერთმა ორატორმა აღნიშნა, ჩვენდაშუამჩნევლად ყველანი შევეჩვევით. კონფერენციაზე მწვავედ გაკკრიტიკეს პარტიის საქალაქო კომიტეტი, საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საქალაქო კომიტეტის ბიურო ზემოთ აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებებისათვის. ამასთან ერთად, კონფერენციამ დამავალა აღვფიქვა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, რომ რუსთაველი კომუნისტები, ყველა მშრომელი მეთორმეტე ხუთწლედს, მის პირველსავე წელს გარდატეხა ის წლად აქცევენ. მეტალურგიული ქარხნის მუშაობა კი, რომელმაც თავი დააღწია ღრმა გარღვევას, ოთხ წელიწადს რომ გრძელდებოდა, იმის ერთ-ერთი მაგალითია, რომ შეიძლება დაავლოთ ყოველი ჩამორჩენა, თუ უნარიანად შეეგებამენთ სამმართველო და საწარმოო მუშაობას ადამიანებთან მუდმივ მუშაობასთან და სრულყოფთ მას.

მეთორმეტე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ქალაქში უნდა გაიზარდოს 23 პროცენტით, მატების 85 პროცენტზე მეტი უნდა მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, მნიშვნელოვნად გაიზრდება სხვა მაჩვენებლებიც.

ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ ასეთი დაძაბული. საწარმოო პროგრამის შესრულება, ისევე როგორც სხვა ამოცანების გადაწყვეტა, ბევრად არის დამოკიდებული თითოეული კომუნისტის, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კომუნისტის, თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის გადიდებაზე თავის სამუშაო უბანზე საქმის ვითარებისათვის. მთელი ჩვენი საქმიანობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ მივწვდეთ თითოეულ ძირეულ რგოლს, თითოეულ კომუნისტს.

15 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პრინციპული შეფასება მისცა რესპუბლიკის ზოგიერთი ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკის მორალურ დაცემას. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქალაქის ყველა პატიოსანი მცხოვრები აღფოთებულია ხანიშვილის, ბადურაშვილის, ბუზიკურის, კობაიძის, თენეიშვილის, მაისურაძის, ხოდელისა და სხვათა ღალატის გამო. გარდა ამისა ჩვენ, რუსთაველებს, ძალიან გვაწუხებს, რომ ზნეობრივი სიწმინდის ამოცანა მწვავედ დგას ჩვენს ქალაქშიც, სადაც ჯერ კიდევ ბოგინობენ მექრთამეები და მომხვეჭელები, ისინი, ვინც შეეჩვია თავისი კეთილდღეობის მიღწევას უკანონო, დანაშაულებრივი გზით. და თუ დროზე არ შეეაჩერებთ მათ, ისეთ გარეწრებად ჩამოყალიბდებიან, როგორიც არიან უბრალა და დარსალია, რომლებიც ჩვენდა სამარცხვინოდ, სულ ცოტა ხნის წინათ ირიცხებოდნენ და მუშაობდნენ ჩვენს საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში. შარშან ამბილეს საქმოსანთა დანაშაულებრივი ჯგუფი საწარმო „იორში“ — 16 კაცი, კომბინატორები ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაში, სხვები, როლებიც საკადრისად დაისჯნენ: მოხსნილი არიან სამუშაოდან და გაირიცხნენ პარტიიდან.

ყოველივე ეს თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ, როგორც ეს არაერთგზის აღუნიშნავს უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას, კერძოსაკუთრულ ტენდენციებს ღრმად აქვს ფესვი გადგმული, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ხანგრძლივი პროცესია და იგი რესპუბლიკაში უკომპრომისოდ იწარმოებს. სწორედ ასეთ პოზიციას ადგას ახლაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა; და ეს არის მემკვიდრეობითობა, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების საწინდარი. ასეთი განწყობილებით არის გამსჭვალული ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, ახლანდელი ყრილობის მთელი მიმდინარეობა.

რუსთაველ კომუნისტებს ისიც აშფოთებს, რომ საქალაქო ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრია გულგრილი ადამიანი. არიან ისეთებიც, რომლებიც ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცვლად ეწევიან კრიტიკანობას, რომლებიც კარგად ამჩნევენ სხვის ხარვეზებს, მაგრამ ვერ ხედავენ საკუთარ ნაკლს, ისეთები, რომლებმაც ისწავლეს ოსტატური შენიღბვა სიტუაციის მიხედვით, წესიერებად თავის მოჩვენება. მათთან ბრძოლაში, როგორც ფაქტები მოწმობს, ეფექტიანი საშუალებაა პარტიულ კრებებზე საწესდიო მოთხოვნების შესრულების შესახებ კომუნისტთა ანგარიშების პრინციპული განხილვა.

ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გამოვაცოცხლოთ რუსთავის კულტურული ცხოვრებაც, მაქსიმალურად გამოვიყენოთ კონტაქტები მეცნიერ და შემოქმედ ინტელიგენციასთან. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის, რომელიც ეგებება თავისი დაარსების 1500 წლისთავს და ძველი რუსთავის ნანგრევებზე ახალი სოციალისტური ქალაქის გაჩენის 40 წლისთავს.

ჩვენი ყრილობის, ქვეყნის კომუნისტთა მომავალი უმაღლესი ფორუმის განაწესები, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, და რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს იღონებს, რათა ისინი რეალობად, კონკრეტულ საქმეებად აქციოს.

ვ. შ. თორდია

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

მეთერთმეტე ხუთწლედის წლები ავიამშენებელთა კოლექტივისათვის განსაკუთრებული წლები იყო — არსებობად ამ პეროდზე მოდის პრინციპულად ახალი ნაწარმის სერიული გამოშვება, წარმოების მოცულობის ზკვეთრი გადიდება, მისი ტექნიკური განახლება.

ყოველივე ეს მიღწეულია გაერთიანების პარტიული კომიტეტისა და ხელმძღვანელობის მიერ იმ უდმივი კონტროლის მეშვეობით, რომელსაც ისინი უწევდნენ ხუთწლედის დამდეგს შემშაეებული ტექნიკური განახლებისა და შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვის გეგმის შესრულებას. ყოველივე ეს შედეგად მოჰყვა კოლექტივის დარაზმვას მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად. ეს ითქვა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში და აქ მოცემულ მაღალ შეფასებას საერთო საქმეში მომავალი წვლილის ავანსად მივიჩნევთ.

მით უმეტეს ვერ ავუვლით გვერდს ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება დანერგვისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებს, რის გამოც ჯერჯერობით არ არის უზრუნველყოფილი ცალკეული საამქროების და მთლიანად საწარმოს რიტმული მუშაობა. ბევრს ეკარგავთ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა არაეფექტიანი გამოყენების გამო.

გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა, ადმინისტრაციამ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ იმ ნაკლოვანებათა გამოვლენასა და აღმოფხვრას, რომლებიც ხელს გვიშლის მთლიანად ვასრულებდეთ პარტიის მითითებებს წარმოების ინტენსიფიკაციის თაობაზე.

გაერთიანება სამშენებლო სამუშაოებს ეწევა როგორც სამეურნეო, ისე საინჟინო წესით. ამასთან დაკავშირებით სერიოზული პრეტენზიები გვაქვს № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის მუშაკებისადმი ობიექტების დაგვიანებით გადაცემის გამო. ამ საქმეში სცოდავენ ქარხნის მშენებლებიც, მაგრამ მათ მიერ აშენებული ბინები მოიჯარეთა მიერ შესრულებულ სამუშაოებს სჯობს ხარისხით. ეს გაერთიანების მუშაკთა სამართლიან საყვედურს იწვევს.

ამაში მეც მიმიძღვის ბრალი. როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პარტიის პედაგოგთა სწორი შერჩევისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, რესპუბლიკის სახალხო განათლების მესვეურებს გამორჩათ ერთი ისეთი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის თვით სკოლაში, პედაგოგიური მუშაობის პროცესში პედაგოგის ჩამოყალიბების საკითხი.

სკოლას, მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ აღზარდონ დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის მომზადებული ზნეობრივად სპეტაკი მოქალაქენი. პირდაპირ უნდა ვთქვა: ჯერჯერობით ამას ყოველთვის ვერ ვახერხებთ. სკოლა ამ საქმეში ხშირად ჩამორჩება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დაჩქარებულ მიმდინარეობას,

საერთაშორისო
ფაქტები • მოვლენები

უშიშროების საბჭო:

ისრაელი აგრესორების თარეშის აღსაკვეთად

ნიუ-იორკი. დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე ისრაელის თარეშის აღსაკვეთად გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებას, მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ მისი აგრესიის შეწყვეტას მოითხოვენ დისკუსიის მონაწილენი უშიშროების საბჭოში, რომელიც განაგრძობს ოკუპირებულ არაბულ მიწა-წყალზე მწვავე ვითარების განხილვას.

საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლები გულისწყრომით აღნიშნავენ, რომ ისრაელისა და მისი ოკეანისგაღმელი პარტნიორის მიზეზით საბჭოს უხდება უკვე წლის დამდეგს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო მშვიდობის წელიწადად არის გამოცხადებული, აგრესიის ესკალაციის განხილვა, საფრთხეს რომ უქმიან საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალეირის, განის, ტუნისის, ინდოეთის, ირანისა და სხვა ქვეყნების მუდმივმა წარმომადგენლებმა, აგრეთვე ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ს. შ. ფირზადამ აღნიშნეს, თელავივის მიერ განხორციელებული მაპმადიანური წმინდა ადგილების შებღალვის ბოლოდროინდელი აქციები არ შეიძლება განვიხილოთ დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე ისრაელის იმ საერთო პოლიტიკისგან მოწყვეტით, რომელიც მიზნად ისახავს მათს გეგმაზომიერ ანექსიას, პალესტინელი ხალხის განუყოფელი უფლებების უარყოფას, განუწყვეტელ შეიარაღებულ აგრესიას არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამასთანავე, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მავრიტანიის მუდმივმა წარმომადგენელმა მ. ულდ ბოიმ თქვა, ისრაელ ოკუპანტთა „ხელწერა“ არაფრით არ განსხვავდება ჰიტლერელი ნაცისტებისა და სამხრეთაფრიკელი რასისტების ბოროტმოქმედებისაგან.

პარადოქსული ფაქტია, რომ დღემდე ბირთვული იარაღის სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ზრდის პროცესი სისტემატურად და საგრძნობლად უსწრებს პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა მიზანია კაცობრიობის ხსნა ყველაზე გლობალური საფრთხისაგან. მეორე მხრივ, თითქოს მოულოდნელი, მაგრამ სინამდვილეში კანონზომიერია ის გარემოებაც, რომ სწორედ პოლიტიკური პროცესების საგანგაშო ჩამორჩენა იქცა მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობის გაქტიურების კატალიზატორად. ასე წარმოიშვა მშვიდობისათვის მებრძოლი ექიმთა, მეცნიერთა, იურისტთა, ღვთის მსახურთა და კიდევ ვინ უწყის რამდენი საერთაშორისო ორგანიზაცია. ყველაფერთან ერთად, ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციათა პოზიტიური როლი იმითაც გამოიხატება, რომ მათი მეშვეობით იღება და იღებს დასავლეთის ფართო საზოგადოებრიობა კომპეტენტურ და ობიექტურ ინფორმაციას ცალეულ სახელმწიფოთა და მთავრობათა პოლიტიკური კურსის, ამა თუ იმ აქციის, პრაქტიკული ნაბიჯების თაობაზე. ასე იყო ამჯერადაც, როდესაც მსოფლიოს საინფორმაციო საგენტოებმა გავრცელეს მ. ს. გორბაჩოვის გაცხადება — უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელშიც ფაქტობრივად პირველად არის მოცემული ბირთვული თუ ქიმიური იარაღის სრული და საყოველთაო მოსპობის რეალური პროექტი და გრაფიკი.

ტრადიციისამებრ, ოფიციალური ვაშინგტონი, ალბათ, დიდ დროს მოანდომებს დოკუმენტის „შესწავლას“, იმდენად დიდს, რომ შემდგომში გაუადვილდეს მის ძირითად დებულებათა უარყოფა რაიმე ხელოვნური საბაბით, ხოლო ამერიკელ „შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირმა“ (რომელიც თავის რიგებში მარტო 9 ნობელის პრემიის ლაურეატ ფიზიკოსს აერთიანებს) დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა თავისი შეფასება: „უგუნურება იქნებოდა საბჭოთა წინადადებების უგულებელყოფა. ეს არის ბირთვული კომპრომიდან კაცობრიობის ხსნის უპრეცედენტო რეალისტური პროგრამა, თუკი რეიგანის ადმინისტრაციას მართლაც სწადია ბირთვული არსენალების მოსპობა, საბჭოთა ლიდერი მას მშვენიერ შესაძლებლობას აძლევს, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს თავისი გულწრფელობა“.

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო წრეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბირთვულ აფეთქებებზე ცალმხრივი მორატორიუმის სამი თვით გაგრძელებამ. თანამედროვე პირობებში, როდესაც ყოველი ბირთვული გამოცდა მსობრივი ბომბის იარაღის ახალი თაობის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯის ტოლფასოვანია, ერთი მხარის ცხრათვიანი მორატორიუმი, მართლაც რომ, შთამბეჭდავია. თეთრი სახლის სისტემატურ და კატეგორიულ „არას“ გამართლება სჭირდება და ვაშინგტონიც ცდილობს შინ და გარეთ ყველა დაარწმუნოს, თითქოს ისტორიამ იცის მაგალითი, როდესაც საბჭოთა კავშირი არღვევდა მორატორიუმს და მისი ნდობა არც ახლა შეიძლება. ისტორიის მოშველიების მიზანი კი ისტორიაში ჩაუხედავ ადამიანებზე ზეგავლენის უხეში ცდაა. მორატორიუმის პრობლემას მართლაც აქვს თავისი ისტორია და იგი ასე გამოიყურება. 1957 წელს მოხდა ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ბისპარაფირება. 1959 წლის 31 დეკემბერს კი პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ცალმხრივად გააუქმა

უბირთვო მსოფლიო დროის მოთხოვნაა

კოსმოსური ერა და ქვის ხანის აზროვნება

საერთაშორისო შენიშვნები

დაც აუცილებელი იყო. მორატორიუმის საწინააღმდეგო არგუმენტად ტელერის ჯგუფს ასეთი ვერსია მოჰყავდა: საბჭოთა კავშირს შეუძლია ბირთვული აფეთქებანი აწარმოოს ღია კოსმოსში, მიწისძვრის მოშენტში, გიგანტურ გამოქვაბულებში, რაც შეუძლებელს გახდის აფეთქებათა აღრიცხვასო. სინამდვილეში ასეთი აფეთქებები თითქმის შეუძლებელი იყო და არც მათი დამალვა შეიძლებოდა. გარდა ამისა, ტელერის „გუნდი“ უკვე ჰპირდებოდა პენტაგონს ნეიტრონის ბომბს.

ამრიგად, 60-იანი წლების დამდეგისათვის უკვე აღარ არსებობდა ხელშეკრულება, რომლის დარღვევაშიც შეიძლებოდა ვისმეს დადანაშაულება. დღეს არავითარი გამართლება არა აქვს მორატორიუმის უარყოფას. პრაქტიკულად ეს იქნებოდა პირველი კონსტრუქციული ნაბიჯი შეიარაღებისადმი კონტროლის თვალსაზრისით, რომელსაც უკვე ადვილად მოჰყვებოდა სხვა მორატორიუმები და მტკიცე შეთანხმება კონტროლსა და ინსპექციაზე.

ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე რ. რეიგანის ადმინისტრაციამ აშკარად აგრძნობინა ყველას, რომ იგი ენთუზიაზმით არ ეკიდება ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის იდეას, ამტომაც შეწყვიტა მოლაპარაკება, როდესაც თითქმის მიღწეული იყო შეთანხმება შემოწმების სისტემაზე და ბირთვულ აფეთქებათა სრული აკრძალვის სხვა ასპექტებზე. მას შემდეგ პენტაგონმა მრავალი სახეობის ბირთვული იარაღი გამოსცადა, მათ შორის რენტგენული სხივებით მოქმედი ლაზერი. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის აზრით (ამას ვერც ტელერი უარყოფს) პერსპექტიული არ არის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, რომელიც ქოსმოსში უამრავი ბირთვული მუხტის აფეთქებას მოითხოვს, ვაშინგტონი ასეთი იარაღის შექმნას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ვიდრე გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვას. როგორც ამ დღეებში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „რეიგანის ადმინისტრაციამ უნდა შეისწავლოს ფაქტები და თვალი გაუსწოროს ისტორიულ ჭეშმარიტებას. მხოლოდ მაშინ იქნება იგი მზად მიხვილ გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული მორატორიუმის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში მან საფუძვლიანი არგუმენტებით უნდა გაამართლოს თავის უარიო“. ჯერჯერობით, საერთო აზრით, ადმინისტრაციას არც ერთი „საფუძვლიანი არგუმენტი“ არ წამოუყენებია. და, ალბათ, ვერც წამოაყენებს, ვინაიდან ასეთი არგუმენტი არ არსებობს. განა შეიძლება სხვა რაიმე გონივრული არგუმენტი დაუპირისპირო წინადადებას, რომ „...მესამე ათასწლეული დაყიწყოთ ბირთვული იარაღის გარეშე ურთიერთმისაღები და მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებული მორგებების საფუძველზე“.

ქვის ხანის აზროვნების ბაზისს, როგორც ცნობილია, იზოლაციონიზმიც წარმოადგენდა, რომელიც თავის მხრივ პირველყოფილი ადამიანის მიერ საკუთარი მიკროსამყაროს აბსოლუტიზებით



მინდვრიდან — დახლზე

„თბილისსილბოსტანვაჭრობის“ № 1 უნივერსალურ მაღაზიაში ინერგება ვაჭრობის, მომხმარებელთა მომსახურების თანამედროვე მეთოდები. მაღაზიამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა საგარეუბნო მეურნეობებთან და ყოველდღიურად უშუალოდ მინდვრებიდან და პლანტაციებიდან იღებენ ახალ პროდუქციას: ბოსტნეულს, კარტოფილს. მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს წინასწარი შეკვეთის მაგიდის მომსახურებით.

სურათზე: თბილისის № 1 უნივერსალური მაღაზიის სავაჭრო დარბაზში.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსკოვური დღიურები

დამსახურებული აღიარება

მოსკოვში დაიხურა გამოფენა „საქართველოს შუა საუკუნეების ფრესკები“. ექსპოზიციას, რომელიც აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმის დარბაზები ეკავა, დიდი და დამსახურებული აღიარება ხვდა წილად.

გამოფენის დახურვის დროს მოსკოველებს და მრავალრიცხოვან სტუმრებს თავიანთი ხელოვნება გააცნეს თეატრალზებული ანსამბლის „მუსიკა, პოეზია, ფერწერა“ წევრებმა და კვარტეტმა „ფიროსმანმა“.

გამოფენის დახურვისას საგანგებოდ წარმოდგენილი იყო მუსიკალური კომპოზიცია „შთაგონება“ პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძის ლექსის მიხედვით. შესრულდა აგრეთვე ძველი ქართული საგალობლები და ბახის, ვივალდის, გლუკის, ა. მაჭავარიანის ნაწარმოებები.

კომპოზიტორის საავტორო კონცერტი

ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის, კომპოზიტორ სულხან ცინცაძის საავტორო საღამო.

მოსკოველები კარგად იცნობენ ქართველი ხელოვნის თვითმყოფად შემოქმედებას. ს. ცინცაძის ყანრობრივად მრავალფეროვანმა ქმნილებებმა სპეციო ადგილი დაიმკვიდრეს საბჭოთა მუსიკალური კულტურის საგანძურში. საღამოს I განყოფილებაში შესრულდა სიუიტა „ვენეციელი ვაჭარი“ (მუსიკა დრამატული თეატრის სპექტაკლისათვის) და კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (სოლისტი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. იაშვილი). II განყოფილებაში აყოერდა სიმფონია №5.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ოდესის ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა. დირიჟორობდა ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი გ. გოცირიძე.

ჩვეული ოსტატობით

მაუვალა ქასრაშვილის სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ქართველი მომღერლის ვოკალური ხელოვნებას მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი ჰყავს. ამიტომ გასაკვირი არ არის ის დიდი ინტერესი, რომელიც მოსკოველებმა გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტის, საქართველოს სსრ სახალხო და რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის მაუვალა ქასრაშვილის კონცერტისადმი. საღამო გაიმართა ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

მომღერალმა ჩვეული ოსტატობით იმღერა ბეტლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია“ და ფრაგმენტები მასკანის ოპერიდან „სოფლის პატიოსნება“.

კონცერტში მონაწილეობდა ოდესის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის გ. გოცირიძის დირიჟორობით.

ილუსტრაციები ქართული ზღაპრებისათვის

საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ექსპოზიცია დეგიზით: „საბჭოთა კავშირის ხალხთა ზღაპრები მხატვართა თვალით“. სულ გამოფენაზე წარმოდგენილია 250 ილუსტრაცია, რომელიც შესრულებულია იაპონიის გამომცემლობის და სავაჭრო ფირმის „სინდოკუსესას“ დაკვეთით. მნახველთა მოწონებით სარგებლობს მოსკოველი მხატვრის ნ. ნესტეროვას მიერ გემოვნებით გაფორმებული ქართული ზღაპრის „ღარიბი და რაინდის სამი ბროწეულის“ 14 ილუსტრაცია და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თ. სამსონაძის ნამუშევარი „მზეთუნახავი შორეული ქვეყნიდან“.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.
ქ. მოსკოვი.

თანამეგობრობის სულისკვეთებით

თბილისისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების ერთობლივი სიმპოზიუმი

ქართული სიტყვა სულ უფრო ხშირად გაისმის ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლში, მაგრამ მან მაინც განსაკუთრებული სიხარული მოგვანიჭა ნევისპირა ქალაქში, როცა ამას წინათ იქ თბილისისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების მეცნიერთა სიმპოზიუმის საბოლოო სხდომა გაიმართა.

სიმპოზიუმის მოწყობა თბილისის უნივერსიტეტის სსრ კავშირი ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრამ და ლენინგრადის უნივერსიტეტის საბჭოთა ლიტერატურის კათედრამ ითავეს. მეცნიერთა ეს შეხვედრა ნიშანდობლივია იმითაც, რომ იგი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებისა და ლენინგრადის გმირული დაცვის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა. მომხსენებელთა შორის ამ ლეგენდარული ქალაქისა და კავკასიის დაცვის მონაწილენიც იყვნენ.

სიმპოზიუმის პირველი სხდომები — საქართველოში, ხოლო დასკვნითი — ლენინგრადში გაიმართა.

შეხვედრის ძირითადი იდეა საბჭოთა ხალხების შეოქმედებითი თანამეგობრობის სულისკვეთების წარმოჩენა გახლდათ და მოკლედ ასე განისაზღვრა — დიდი სამამულო ომის ასახვა მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში და სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობანი. კონკრეტული ნაწარმოების, მწერლის კრიტიკულ შეფასებასთან ერთად მრავალი თეორიული საკითხი მოექცა სიმპოზიუმის ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სტილური და ყანრობრივი კვლევის სფეროდ, მივიწყებული და უცნობი მასალების მეცნიერულ მიმოქცევაში ჩართვა.

უაღრესად აქტუალური და საინტერესო იყო ლ. ერშოვის, გ. ცვეტოვის, ვ. შადურის, ო. ბაქანიძის, ი. პეტროვსკის, ლ. მენაბდის, ა. ლაფჩინკოს, ე. ხინთიბიძის, გ. გვენეტაძისა და სხვათა მოხსენებები, დიდი სამამულო ომის მონაწილის, ცნობილი მწერლის პ. კაპიცას გამოსვლა.

ლენინგრადში გამართული სიმპოზიუმის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღებით გვეცანით სპეციალური ინფორმაციას ლენინგრადის უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის სწავლების შესახებ.

შეხვედრები დამთავრდა, ჩვენი კონტაქტები კი კიდევ უფრო მყარი და მრავალსაღმთქმელი გახდა, რისი ერთ-ერთი საფუძველიც თბილისის უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრასა და ლენინგრადის უნივერსიტეტის საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის კათედრას შორის დადებული შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულებაც არის.

ზ. მეძველია.

ბოლო ჩაბალი

და მაინც, ქართველი მაია ჩიბურდანიძე

იუგოსლავიის ქალაქ იაცეში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ თავდაპირველად დაწინაურდა მაია ჩიბურდანიძე, შემდეგ კი ოდნავ ჩამორჩა და კარგა ხანს უნგრელი მოჭადრაკე ილდიკო მადლი ლიდერობდა. შეჯიბრების დასკვნითს ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონმა აღმავლობით ითამაშა, საბოლოოდ 9,5 ქულა დაგროვა და პირველ ადგილს დაეუფლა. მადლმა და მისმა თანამემამულე ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩმა საბოლოოდ 9-9 ქულა დაგროვეს და მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. ტურნირში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ელენე ახმილოვსკაიამ 8 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.

გვეპატიჟება სპორტის სასახლე

31 იანვარს დაიწყება თბილისის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა XXV ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. ეს ასპარეზობა თბილისის სპორტის სასახლეში 2 თებერვლამდე გასტანს. ამჯერად პირველობისთვის იბრძოლებენ ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთის, უნგრეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკის, აშშ-ს, თურქეთის, კანადის, საბერძნეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ორთაბრძოლების დასაწყისი ყოველდღე 11 და 18 საათზე.

ამ მნიშვნელოვან და წარმოდგენილობითს შეჯიბრებაში საქართველოს ახალგაზრდა ათლეტთა მონაწილეობა იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ სწორედ აქ მოხდება ძალთა პირველი გამოცდა რესპუბლიკის ნაკრებისა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაში ისასპარეზებს. ერთი სიტყვით, თბილისის ეს ტრადიციული შეჯიბრება ამჯერად ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია და წლევანდელ სპორტულ სეზონში იგი პირველი დიდი შემოწმება იქნება ახალგაზრდებისათვის. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკიდან იქნებიან უკვე საქვეყნოდ აღიარებული ათლეტები ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მის ოკეანიან შემადგენლობაში ვიხილავთ როგორც საკმაოდ გამოცდილებს, ისე ახალგაზრდებსაც — იმთავაც, ვისაც ჯერ კიდევ დიდი წარმატების სიხარული არ უგრძნია. უნდა ითქვას ისიც, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენ ურიგო რეზერვი როდი გვყავს. ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ძალებს არ დაზოგავენ, რათა ამ შეჯიბრებაზე სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობანი და მზარდი ოსტატობა.

ს. დევიძე.

სატურნირო ორბიტა

ფარიკაობა. „მოსკოვის ხმალი“ — ასე ეწოდება ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც უკვე დამთავრდა. ფინალში პირველგარელმა ვასილ ეტროპოლსკიმ სძლია მოსკოველ მოხმალავეს ევგენი ცუხლოს (10:7). მესამე ადგილზე გამოვიდა ცუხლოს თანაგუნდელი სერგი კორიაკინი. გუნდური პირველობა მოიპოვა იტალიის ნაკრებმა, რომელმაც ფინალური შეხვედრა საბჭოთა მოხმალავეებთან ფრიდ (8:8) დაამთავრა, მაგრამ ჩხვლეტების უკეთესი სხვაობა აღმოჩნდა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ ბულგარელები.

ძალოსნობა. ქალაქ ალბუკერკში (აშშ) გამართულ შეჯიბრებაზე ჯიმ ჰოვარდმა სამაღლეზე ხტომაში 235 სმ დაძლია და გიმეორა მსოფლიო რეკორდი (დარბაზებში).

ცურვა. ჰოლანდიის ქალაქ ამერსფორტში თავი ისახელა საბჭოთა სპორტსმენმა ოლეგ გავრილენკომ. 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მან პირველი ადგილები მოიპოვა (შესაბამისად 58,93 და 2.05,48). 200 მეტრზე ბრასით ცურვაში უძლიერესი იყო დიმიტრი კუზმინი (2.23,02), ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა თემურ პოდძარევი (2.23,71). სვეტლანა კომჩიკოვამ ყველას აჯობა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (4.56,36).

ფიგურული ციგურაობა. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე სამი სავალდებულო ფიგურის შესრულების შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა სპორტსმენი კირა ივანოვა. მეორე ადგილზე იყო კატარინა ვიტი (გდრ), მესამეზე — ანჯელა ლეისტნერი (გფრ). სსრ კავშირის წარმომადგენლები ანა კონდრაშოვა და ნატალია ლებედევა შესაბამისად მეოთხე-მეხუთე ადგილებზე იყვნენ. წყვილთა სრიალში ოლიმპიურ ჩემპიონებს ელენე ვალოვას და ოლეგ ვასილიევს ძოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერთა შორის საუკეთესო პოზიცია ჰქონდათ. შესაბამისად მეორე-მეოთხე ადგილებზე იყვნენ იუნიორთა შორის 1985 წლის ჩემპიონები ეკატერინე გორდეევა და სერგი გრინკოვი (სსრ კავშირი), კატრინ კინტიგა და ტობიას შრეტერი (გდრ), ელენე ბეჩკე და ვალერი კორნიეკო (სსრ კავშირი).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

აშშ

პრეზიდენტი აღიარებს

ვაშინგტონი. გამალებული შეიარაღების ასოციაციებს არ შეეხება ფედერალური ხარჯების კარდინალური შემცირების პროგრამა, რომელიც ვაშინგტონის ადმინისტრაციამ დაგეგმა მომავალი საფინანსო წლისათვის. ეს საკმაოდ ნათლად თქვა პრეზიდენტმა რეიგანმა.

თეთრ სახლში გამოსვლისას, პრეზიდენტმა აღიარა, რომ ასტრონომიული საბიუჯეტო დეფიციტი, რომელმაც, სპეციალისტთა აზრით, ამჟამად 220 მილიარდ დოლარს მიაღწია, „საგრძნობი დაბრკოლებაა“ ამერიკის ეკონომიკის ნაყოფიერი განვითარების გზაზე. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა „კონტროლი დაუწესდეს“ ფედერალურ ხარჯებს. მაგრამ, როგორც მისი გამონათქვამები მოწმობს, „კონტროლი“ გავრცელდება მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებზე. 1987 წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტით, როგორც რეიგანმა განაცხადა, გათვალისწინებულია „თავდაცვის ხარჯების ზრდა“.

ფოტოფაქტი



შეერთებული შტატები აპირებს დააჩქაროს თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო ძლიერების ზრდის ტემპი, რათა მიაღწიოს უპირატესობას ზღვებსა და ოკეანეებში. პენტაგონმა დაგეგმა ამერიკის შეერთებული შტატების ერატორიონზე ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობის ფართო პროგრამა და 80-იანი წლების ბოლოსათვის საბრძოლო ხომალდების რიცხვის 600-მდე გაზრდა. ამ ხომალდების განლაგებას პენტაგონი აპირებს ქვეყნის ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების სანაპიროებზე, აგრეთვე მექსიკის ყურეში მშენებარე ბაზებში. პენტაგონელ სტრატეგთა ვარაუდით, ამ გეგმების ხორცშესხმა უზრუნველყოფს „ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სწრაფად გადაყვანას მსოფლიო ოკეანის ყველა რაიონში“.

სურათზე: გასაშვებად გამზადებულია „დედამიწა-ჰაერის“ კლასის რაკეტები ამერიკული კრეისერ „ტიკონდეროგაზე“.

შრომა და კაპიტალი

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი. ახალ რეკორდულ ნიშნულამდე — 3,4 მილიონამდე გაიზარდა უმუშევრობის დონე დიდ ბრიტანეთში. მარტო ამა წლის პირველ თვეში „ზედმეტ ადამიანთა“ არმიას 100 ათასზე მეტი კაცი მიემატა. განსაკუთრებით უჭირთ იმათ, ვინც უკვე წელიწადზე მეტია სუშუაოს ეძებს. მომხმარებელთა ეროვნული საბჭოს მოხსენების თანახმად, ქვეყანაში 1,3 მილიონზე მეტი „სტაჟიანი უმუშევარია“. ეს ადამიანები ბრიტანეთის მოსახლეობის უღარიბეს ფენას შეადგენენ.

ჟურნალისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-05-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეგობელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-83.

მხატვრის თვალით



მესიჯი

ათასწლეული— ბირთვული იარაღის გარეშე!

გ. ლომიძის ნახატი.

მოსკოვი

29 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „გამოგვეხმაურეთ, მეგუაენო!“ 10.10 — მოგზაურთა კლუბი. 11.10 — ახალგაზრდული სპექტაკლების მე-2 საკავშირო ფესტივალი თბილისში. 12.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „მოსკოვი და მოსკოველები“. 16.50 — „მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის თეატრი“. 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.00 — კონცერტი. 18.15 — ნარკვევი სკკპ 27-ე ყრილობის დელეგატზე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორ ნ. ი. ყდანოვზე. 18.30 — მხიარული სტარტები. 19.15 — „სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს“. (ტულის ოლქი). 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ს. რახმანინოვის რომანსები. 20.20 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.55 — ახალი ამბები. 21.00 — ფიგურული ციგურაობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ლამაზი მეგობარი“. მესამე სერია. 0.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.35 — ინფორმაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. მე-9 კლასი. 10.05 და 13.30 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექსსწავლებელთა მოსწავლეთათვის. ასტრონომია. 11.35 და 12.40 — ზოგადი ბიოლოგია. მე-9 კლასი. 12.05 — „მარტივი — რთული ჭეშმარიტებანი“. ტელეჟურნალი მშობლებისათვის. 13.10 — ბოტანიკა. მე-6 კლასი. 14.00 — ესთეტიკური აღზრდა. 14.30 — რ. ბერნსის ცხოვრება და შემოქმედება. 15.30 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 19.15 — „თანამეგობრობა“. 19.45 — კონცერტი. 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — ძილი ნებისა, პატარებო. 21.15 — ახალი ამბები. 21.20 — მუსიკალური კოისკი. 21.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჰოკეი.

თბილისი

29 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — სასეზრადო კონცერტი „ბელოდაცვი!“ (განმეორებით). 10.55 — კინოჟურნალი „ვარსკვლავ ვ ა“. 11.40 — საკავშირო პრესა ქართული მუსიკის შესახებ (განმეორებით). 12.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „გამალამაზეთ“. 12.40 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ოპერაცია ანსამბლი“. 13.10 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.40 — საინფორმაციო გამოშვება. 13.55 — ქართული მხატვრული ფილმი „მარადისობის კანონი“. 15.20 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — შეეცადეთ ისწავლოთ გერმანული ენა. 16.55 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.05 — სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის „თვალსაწიერი“. 17.45 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად — დეპუტატი და ცხოვრება. 18.15 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 18.50 — ხალხური შემოქმედება — „თვალთაი“. 19.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ს. რახმანინოვის რომანსები სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზ. სოტკილავას შესრულებით (მ.). 20.20 — მოამბე. 20.50 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად — ახალი გეგმები, ახალი ამოცანები — მოგვითხრობენ ყრილობის დელეგატები. 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ოცლიანი საქმრო“.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ ტიხონოვი — დრონი და გზები“. 17.15 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თეატრი — უპირველეს ყოვლისა“. 19.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ს. რახმანინოვის რომანსები სსრ კავშირის